

#3, მარტი, 2008

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

„ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ მედია კონკურსის პირველი გამარჯვებულები

5 მარტს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა სოციალურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტთა კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოება. ღონისძიებას ესწრებოდნენ მედიის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები



საუკეთესო ფოტო ნამუშევარი – ავტორი ნათელა გრიგალაშვილი

„ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – ასე ჰქვია კონკურსს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, სოციალური თემების ფართოდ და ღრმად გაშუქების მიზნით, სოციალურ თემებზე მომზადებული საუკეთესო საგაზეთო სტატიის, საუკეთესო ფოტო ნამუშევრის, საუკეთესო სატელევიზიო და რადიო სიუჟეტების გამოსავლენად დააფუძნა. შესაბამისად, კონკურსი ამ ოთხ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენასა და მათ დაჯილდოებას ისახავდა

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

(გაგრძელება)

მიზნად. თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულის საპრიზო ფონდი – 1000 ლარს შეადგენდა.

შემოსული საკონკურსო მასალები შეაფასეს ჟიურის წევრებმა. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ – ვაჟა სალამაძე, ზვიად ქორიძე. დავით პაიჭაძე და გურამ წიბახაშვილი. ჟიურის წევრებმა კონკურსის პირველი გამარჯვებულები დასკვნით

სიგელი და პრიზი, რომელიც სოციალური თერაპიის სახლში დამზადდა და თავის მხრივ, პრიზის სახელწოდებაზეც გამოცხადდა კონკურსი. საკონკურსოდ არ შემოსულა არც ერთი რადიო სიუჟეტი, ჟიურის წევრთა გადაწყვეტილებით რადიოსიუჟეტისთვის განკუთვნილი ნომინაცია წელს გაუქმდა,



ლონისძიებაზე, 5 მარტს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ დაასახელეს.

- საუკეთესო საგაზეთო სტატიის ავტორად გამოცხადდა გაზეთ „24 საათის“ ჟურნალისტი სოფიო თოდუა, წერილისთვის – „გზაჯვარედინის გენერლები“;
- საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტის ავტორებად გამოცხადდნენ ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან არსებული ლიდერთა სკოლის მოსწავლეები, სიუჟეტისთვის – „მარტო მოვდივარ“;
- საუკეთესო ფოტო ნამუშევრის ავტორად გამოცხადდა ფოტოხელოვანი ნათელა



ფულადი ჯილდო არ გაუქმებულა – იგი ორ ნაწილად გაიყო და წამახალისებელი ჯილდოს სახით გადაეცათ გაზეთ „რეზონანსის“ ჟურნალისტს ელზა წიკლაურს სოციალური სტატიების ციკლისთვის და ფოტოხელოვანს ირინა აბუხანდაძეს სოციალური ფოტოციკლისთვის. შესაბამისად, თითოეულ მათგანს გადაეცა ფულადი ჯილდო 500 ლარის ოდენობით, დიპლომი და პრიზი. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დაფუძნებული კონკურსი – „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – ყოველწლიურად გაიმართება,



გრიგალაშვილი. (გამარჯვებული ნამუშევრები იხ. <http://www.civilin.org/welfare>).

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცა ფულადი ჯილდო – 1000 ლარი, გამარჯვებულის



5 მარტს დაჯილდოების ცერემონიაზე მომდევნო კონკურსი გახსნილად გამოცხადდა.

„ბავშვთა და მოზარდთა შორის ძალადობა – პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება“

27–28 თებერვალს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა კონფერენცია თემაზე – „ბავშვთა და მოზარდთა შორის ძალადობა – პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება“.

კონფერენციას, რომელიც ფონდის – „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ინიციატივით გაიმართა, ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი ვია ნოდია, პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლების,



საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები. კონფერენციამდე ერთი წლით ადრე ფონდმა ბავშვთა და მოზარდთა ძალადობის შემსწავლელი ალიანსი ჩამოაყალიბა, რომლის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა ძალადობის ფენომენის შესწავლა და პრევენციული ღონისძიებების ჩამოყალიბება. საკითხის აქტუალობას კონფერენციის ყველა მონაწილე ხაზს უსვამდა.

„ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, საჭიროა ამ საკითხისადმი სისტემური, ერთობლივი, კოორდინირებული და ძალიან პროფესიონალური მიდგომა“, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ. მან ყურადღება გაამახვილა პრობლემასთან მიმართებაში პრევენციის მნიშვნელობაზე – „პრევენცია სწორი და ეფექტური გზაა. ასეთი მიდგომა გაცილებით მომგებიანია, ვიდრე დასჯა და ზედმეტ კონტროლზე დამყარებული მიდგომა“.

ბავშვთა და მოზარდთა ძალადობის შემსწავლელი ალიანსის წევრებმა, ადგილობრივი და

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ამ სფეროს შემსწავლელი კვლევის შედეგები წარმოადგინეს. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ მოზარდებში ძალადობა ერთ–ერთი ყველაზე მტკივნეული და მწვავე პრობლემაა. სპეციალისტების თქმით, ბავშვთა და მოზარდთა შორის ძალადობა 90–იანი წლებიდან მატულობს. ამ საკითხის მიმართ საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოება აცნობიერებს პრობლემის სიმწვავეს, თუმცა უჭირს მისი გამოწვევი მიზეზების დასახელება. „ძალადობა არის პრობლემა, რომლის მოგვარებასაც ვერც ერთი სააგენტო ცალკე ვერ შეძლებს“, – აღნიშნა ფონდის დირექტორმა ნინო მახაშვილმა.

ძალადობასთან გამკლავება სხვადასხვა ეტაპზე უნდა მოხდეს: პრევენციული ეტაპი, ანუ სანამ დანაშაული კრიზისი მოხდება, კრიზისი და კრიზისის შემდგომი ეტაპი. პრობლემის მოგვარების ძირითადი პრინციპი სხვადასხვა სტადიაზე პრევენციას ითვალისწინებს. როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, აუცილებლად უნდა დადგინდეს ის ძირითადი მიზეზები, რომელიც ძალადობას იწვევს, ასევე დადგინდეს რისკ–ფაქტორები და რისკ–ჯგუფები, დამცავი ფაქტორები, რომლებიც თავიდან აგვაშორებენ ან საფრთხეს შეამცირებენ.

კონფერენციის მონაწილეები ხაზს უსვამენ, რომ საქმე ბევრია და მზადყოფნას გამოთქვამენ თანამშრომლობისთვის, რათა პრობლემის მოგვარების კომპლექსური, ეფექტური მიდგომები შემუშავდეს და განხორციელდეს, რაც ბავშვთა და მოზარდთა მიმართ, ბავშვთა და მოზარდთა შორის ძალადობას შეამცირებს.

21 მარტს, ფონდის – „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისის“ ინიციატივით გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე – „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაფინანსება რეალობა და საჭიროებები“. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პარლამენტის, სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. წარმოდგენილი იყო ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა სამედიცინო–სოციალური საჭიროებათა შესწავლის ანალიტიკური ანგარიში. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ და განიხილეს საქართველოსა და სხვა ქვეყნების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაფინანსების შედარებითი ანალიზის,

ლონისძიება

ინკლუზიური სწავლების დანერგვა საბავშვო ბაღში პროექტის პრეზენტაცია

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ასოციაცია „გეამ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში, 18 თებერვალს, პროექტის – ხაშურის #7 საბავშვო ბაღში ინკლუზიური სწავლების დანერგვის პრეზენტაცია გამართა.



პრეზენტაციას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და პედაგოგები. ასოციაცია „გეა“ შეიქმნა სამოქალაქო განათლების პროგრამის „სიგმას“ ფარგლებში, რომელიც ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ“ და საერთაშორისო ასოციაციამ „კვიტას გეორგიკამ“ ერთობლივად განახორციელეს.



აღნიშნული პროექტს ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ აფინანსებს, ხოლო საბავშვო ბაღში ფიზიკური გარემოს შექმნას უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტი.

საკონკურსო განაცხადი

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ბავშვთა ზრუნვის პროგრამის ფარგლებში, "ჩვენი სახლი"; "ვისწავლოთ ერთად ცხოვრება"; "ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დღის ცენტრების განვითარების"; "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დახმარების"; "განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა ქცევის მოდიფიკაციის გუნდის განვითარების" და "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების" ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, მომსახურების შესყიდვის მიზნით, აცხადებს ორეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი "24 საათი", 11 მარტი, 2008 წლის ან

<http://www.civilin.org/welfare>

2. თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერია აცხადებს ღია ტენდერს ქალაქ რუსთავში სოციალურად დაუცველი ფენის უფასო კვების მომსახურების გაწევის შესახებ. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი "24 საათი", 11 მარტი, 2008

ან

<http://www.civilin.org/welfare>

3. საერთაშორისო პროგრამის (IHRD) ფარგლებში ღია საზოგადოების ინსტიტუტი აცხადებს საგრანტო კონკურსს.

ინფორმაცია იხილეთ

<http://www.jobs.ge>, 10 მარტი, 2008

ან

<http://www.civilin.org/welfare>

4. ფონდი „ღია საზოგადოება–საქართველო“ აცხადებს საგრანტო კონკურსს – „სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა და სოციალური მზრუნველობის ინსტიტუტების განვითარება“

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი "24 საათი", 28 თებერვალი, 2008

ან

<http://www.civilin.org/welfare>

ტრენინგი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის

27-29 თებერვალს, სასტუმრო „თორში“, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე – „ეფექტური ორგანიზაციის მოდელი, მართვის საფუძვლები და მენეჯერის უნარ-ჩვევები“. მონაწილეობას იღებდნენ

ტრენინგის მონაწილეებს მიეცათ საშუალება აეთვისებინათ რიგი ტექნიკები, რაც დაეხმარება მათ საკუთარ თანამშრომლებთან საქმიანი თუ პირადი ურთიერთობის პროცესის ეფექტურობის გაუმჯობესებაში. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ ეფექტური ორგანიზაციის მოდელსა და მის



ასოციაცია „ბავშვი და გარემოს“, სოციალური კეთილდღეობის და თანასწორობის საზოგადოება „დომუსის“, ასოციაცია „გეას“, ასოციაცია „მშობელთა თანადგომის“, სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა ასოციაციის, საქველმოქმედო ორგანიზაცია „თემის“. საზოგადოება „ბილიკის“;



ძირითად ელემენტებს; მართვის ოთხ ძირითად ფუნქციას - დაგეგმვას, შეფასებასა და კონტროლს, მოტივირებას, ორგანიზებას; ფორმალური და არაფორმალური ჯგუფების მახასიათებლებს; ლიდერობისა და მართვის განსხვავებულ სტილს; ტრენინგის მეშვეობით მონაწილეებს მიეცათ საშუალება გაუმჯობესებინათ მენეჯერისათვის საჭირო ისეთი უნარ-ჩვევები, როგორცაა საქმიანობის დაგეგმვა - ამოცანების დასმა და საქმიანობის შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა; ეფექტური კომუნიკაცია და აქტიური მოსმენა; უფლებამოსილებების ეფექტური დელეგირება და უკუკავშირის გაცემა.




წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის, კავშირ „საფარის“, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის, კავშირ „მშობელთა ხიდის“, კავშირ „იას“, აფხაზინტერკონტის, ასოციაცია „ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოების“ წარმომადგენლები ტრენინგი მიზნად ისახავდა მონაწილეთათვის ეფექტური ორგანიზაციის მოდელის გაცნობას, მართვის ზოგადი პრინციპების და ახალი მიდგომების სწავლებას, მართვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას.

აღნიშნული ტრენინგი, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ტრენინგების მესამე ეტაპს წარმოადგენდა. პირველი ორი ციკლი წინა წელს გაიმართა და, სამართლებრივ და პროექტის შედგენის ჩარჩოების თემატიკას მოიცავდა..

ღონისძიება ორგანიზებული იყო სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში. პროექტის პარტნიორი და ფინანსური მხარდამჭერია ფონდი EED .

პრესის მონიტორინგი




სოციალურ სფეროზე

ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს.

ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“ („ბასტა“, „მთელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“ („კვირიდან კვირამდე“), „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

პრესის აქტივობა

თებერვალში დაიბეჭდა 32 პუბლიკაცია ინფორმაცია



- რეზონანსი (ბასტამთელი კვირა)
- ახალი თაობა
- ალია/ქრონიკა
- 24 საათი
- ჯორჯიან თაიმსი
- სარკე


თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ქველმოქმედებას/საქველმოქმედო აქციას მიეძღვნა 14 ინფორმაცია/პუბლიკაცია, გამოქვეყნდა სამი კონკრეტული ისტორია, ოთხი წერილი ორგანიზაციის საქმიანობას ეხებოდა, რომელთა ნაწილში ასევე აღწერილია ბენეფიციართა საქმიანობა, სხვადასხვა პროგრამის შესახებ 8 პუბლიკაცია დაიბეჭდა, ხოლო საცნობარო/საგანმანათლებლო და სტატისტიკური კუთხით სამი

პუბლიკაცია ინფორმაცია გამოქვეყნდა.

ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები



- სოციალურად დაუცველი ბავშვი
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
- უნარშეზღუდული
- მზრუნველობამოკლებული
- ობოლი
- ქუჩის ბავშვი
- ქუჩაში მყოფი ბავშვი
- რისკის ზღვარზე მყოფი ბავშვი
- უმწეო
- ფსიქიურად დაავადებული
- ინვალიდი
- უსინათლო
- ცერებრალური დამბლით დაავადებული
- ინტეგრირებული ბავშვი
- მოხუცი
- ხანდაზმული

საკონკურსო განაცხადი

1 ღია საზოგადოების ინსტიტუტის ზიანის შემცირების განვითარების საერთაშორისო პროგრამა აცხადებს საგრანტო კონკურსს წამალდამოკიდებულების მკურნალობის არადისკრიმინაციული პოლიტიკისა და პრაქტიკის ადვოკაცია ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის.

ინფორმაცია იხილეთ

<http://www.jobs.ge>, 19 მარტი, 2008

ან

<http://www.civilin.org/welfare>